გუშინ საბჭოთა ხალხმა და მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ ზეიმით აღნიშნეს გერმანულ ფაშიზმზე გამარჯვების 30 წლისთავი. ამ გამარჯვების მთავარი შემოქმედი იყო საბჭოთა ხალხი, რომლის უკვდავი გმირობა სწორუპოვარია ისტორიაში

უცნობი ჯარისკაცის ნეშტის დაკრძალვა გამარჯვების პარკში

გუშინ თბილისში მოეწყო უცნობი ჯარისკაცის ნეშტის დაკრძალვის საზეიმო-სამგლოვიარო ცერემონიალი. ეს უცნობი ჯარისკაცი ჰიტლერელ დამპყრობლებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომში დაეცა ბრძოლის ველზე კავკასიის დაცვის დღეებში.

უცნობი ჯარისკაცის ნეშტი თბილისში გმირი ქალაქ ქერჩიდან ჩამოიტანა საქართველოს მშრომელთა წარმომადგენლების დელეგაციამ. ნეშტი აჭიმუშკაის ქვისსატეხების რაიონში მდებარე საძმო საფლავში განისვენებდა.

ლენინის მოედნიდან რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის პროსპექტების გავლით საარტილერიო ლაფეტზე მოთავსებული კუბო უცნობი ჯარისკაცის ნეშტით გამარჯვების პარკისკენ წაიღეს. მთელს გზაზე გაისმოდა სამგლოვიარო მელოდიები და ქორალები...

სამგლოვიარო პროცესიაში ათასობით თბილისელმა მიიღო მონაწილეობა. მათ შორის იყვნენ კავკასიის გმირული დაცვის მონაწილენი, სამამულო ომის ვეტერანები.

გამარჯვების პარკში გაიმართა საზეიმო-სამგლოვიარო მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, დიდი სამამულო ომის ვეტერანებმა.

...კუბომ უცნობი ჯარისკაცის ნეშტით თბილისის მიწაში დაიმკვიდრა სამუდამო ადგილსამყოფელი. ამ წმიდა საფლავთან აგიზგიზდა მუდმივი ცეცხლი, რომელიც აანთო საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ.

* * *



სურათზე: რამდენიმე წუთიც, და უცნობი ჯარისკაცის ნეშტი მიწაში ჩაესვენება.

მ. ზარგარიანის ფოტო.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 92 (5382)

1975 წ. 10 მაისი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

პატაკი „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს ი. შევარდნაძეს

ფინიში გმირ ქალაქში

ნოვოროსიისკი, 9 მაისი (დეპეშით). დღეს, დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავის ზეიმზე, თბილისის მე-6 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის ველოსიპედისტთა ჯგუფი 15 კაცის შემადგენლობით ჩავიდა გადარბენის ბოლო პუნქტში — გმირ ქალაქ ნოვოროსიისკში.

ეს ველოლაშქრობა გამარჯვების დღესასწაულს მივუძღვენით.

ნ. ჩაჩავა,
ველოგადარბენის ხელმძღვანელი.

ძნელი, ურთულესი გამოცდის მიუხედავად ნუ დავკარგავთ ტრადიციებს

VI
სპარტაკიადა

სველი, ზოგან ატალახებული გზატკეცილი, კოკისპირული წვიმა და ძლიერი ქარი, რომელიც ყოველ წამს იცვლის მიმართულებას... ასეთ ამინდში მხოლოდ დაგვიანებულ ან გზას აცდენილ მგზავრს თუ შეხვდებით გარეთ... ნატახტრის გზატკეცილზე კი ისეთი ჟივილ-ხივილია, გეგონებათ ამ ხალხს ავდარმა სიხარული მოუტანაო.

სიხარული მართლაც იყო და ამ სიხარულმა გალუმპულ და გათოშილ ველოსიპედისტებს გადაავიწყა კიდეც ძნელი, 100-კილომეტრიანი გზის სიმწარე. ორ საათზე მეტ ხანს ებრძოდნენ ავდარს, ერთმანეთს, რიტმულად მოკაკუნე წამზომს და ბოლოს გამარჯვების სიხარულმა იმძლავრა. ისინი, ვინც სხვებზე ადრე მოვიდა ფინიშთან, სახეგაბრწყინებული ილებდნენ მილოცვებს. საქართველოს სპარტაკიადის ჩემპიონმა საგზატკეცილო გუნდურ რბოლაში, თბილისის პირველმა გუნდმა წარმატებით გაართვა თავი ძნელ გამოცდას და თავის კოლექტივს 14 ჩასათვლელი ქულა მისცა.

ასე დასრულდა სპარტაკიადის პირველი დღე ველოსიპედისტებისთვის. თბილისელთა წარმატება არც სტარტამდე იწვევდა ეჭვს. გუნდის მწვრთნელებმა უნარიანად შეარჩიეს სპორტსმენები, სწორად გაანაწილეს მათი ძალები მთელ დისტანციაზე და ახლა სიამოვნებით იმკიდნენ მღელვარებისა და განცდების ნაყოფს.

თბილისმა გუნდურ ასპარეზობაში მეორე ნაკრებიც გაიყვანა, რომელმაც ასევე წარმატებით დაამთავრა რთული ტრასა და გამარჯვებულს მხოლოდ 25 წამით ჩამორჩა. მაგრამ ეს გუნდი მხოლოდ პირად ჩათვლაში ასპარეზობდა, ამიტომაც ნამდვილი მეორე პრიზიორი აფხაზეთის კოლექტივია, რომელშიც გამოცდილი ველოსიპედისტების ვ. მალევანიკისა და მ. კოშელიანის მხარდამხარ იბრძოდნენ ოსტატობის კანდიდატი რ. კალაჯიანი და პირველთანრიგოსანი ო. ნოვომლინოვი.

მესამე ოფიციალური შედეგი ქუთაისელებს აღმოაჩნდათ, მაგრამ მათ ჩათვლის მისაღებად არ ეყოთ... 35 წამი.

აჭარის, რუსთავისა და გორის ველოსიპედისტებმა, დაბალი მაჩვენებლების მიუხედავად, მაინც დაამთავრეს დისტანცია. რაც შეეხება ზუგდიდის გუნდს, იგი მსაჯთა კოლეგიამ მოხსნა ტექნიკური მოუმზადებლობისთვის. ეს მეტად უსიამოვნო ფაქტია, რომელიც ჩრდილს აყენებს ზუგდიდის ველოსპორტის მესვეურთ.

ერთი საინტერესო დეტალი გამარჯვებულ კოლექტივზე (დ. კობაიძე, ა. ხომუტოვი, ა. ხახიაური, ა. კოსტეცკი): თბილისის პირველმა ნაკრებმა სტარტზე ზუსტად წუთ-ნახევარი დაიგვიანა. დრო ჩართული იყო, ველოსიპედისტები კი არ ჩანდნენ... ამის მიუხედავად, ფავორიტმა ადვილად აინაზღაურა დანაკლისი და, როგორც უკვე ვთქვით, ყველაზე ადრე დაამთავრა მანძილი.

ერთდღიანი შესვენების შემდეგ ველოსიპედისტები ისევ გამოვიდნენ სტარტზე, ამჯერად ჯგუფურ რბოლაში. და თითქოს განგებ, ისევ წვიმასა და ქარში მოუხდათ ასპარეზობა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ 26 მონაწილემ დისტანცია ვერ დაამთავრა.

ფინიშთან პირველობა გაითამაშა ტრიომ, რომელშიც შედიოდა ერთი ველოსიპედისტი ქუთაისიდან (გ. პლოხინოვი), ერთი თბილისიდან (ა. კოსტეცკი) და ერთიც აფხაზეთიდან (მ. კოშელიანი). სპორტის ოსტატმა პლოხინოვმა უმნიშვნელო უპირატესობით სძლია კოსტეცკის, ამ უკანასკნელმა კი — კოშელიანს. მომდევნო ადგილებიც ახალმა ტრიომ გაითამაშა, სადაც შედეგები ასევე მჭიდრო იყო (თბილისელი ი. რთველიაშვილი IV ადგილზე გავიდა, რუსთაველი ნ. კრასავცევი — V, ქუთაისელი ზ. ლომთაძე — VI).

ზემოჩამოთვლილ ველოსიპედისტთა გარდა, დისტანცია კიდევ ათმა სპორტსმენმა დაამთავრა. მათ შორის იყო ოთხ-ოთხი წარმომადგენელი თბილისიდან, რუსთავიდან და ორიც — ქუთაისიდან.

რა შეიძლება ითქვას ამ ორ რბოლაზე? პირველ ყოვლისა ის, რომ სპორტსმენებს გამოცდის ჩაბარება ურთულეს პირობებში მოუხდათ. ის, ვინც უკეთ იყო მომზადებული, ასე თუ ისე „მშრალი ამოვიდა წყლიდან“, მაგრამ სრული სურათის შექმნა უამინდობის გამო ერთობ ძნელი აღმოჩნდა. თუმცა, ახლავე შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რომ აფხაზეთისა და ქუთაისის ველოსიპედისტებს მონდომებაც ეტყობოდათ და მუშაობის შედეგიც. სუსტად გამოვიდნენ რუსთავის, გორისა და ზუგდიდის გუნდები. რუსთაველებმა ჩათვლა ვერ მიიღეს გუნდურ ასპარეზობაში, გორელებმა და ზუგდიდელებმა — პროგრამის ორივე სახეობაში (ამასთან, როგორც უკვე ვთქვით, ზუგდიდის ნაკრები ტექნიკური მოუმზადებლობისთვის გუნდური ასპარეზობიდან მოიხსნა).

მაგრამ ყველაზე გასაკვირი და, თუ გნებავთ, მიუტევებელია აჭარის ველოსიპედისტთა მარცხი. აჭარაზე ჩვენ განსაკუთრებით იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ იქაურ ველოსიპედისტებს ერთ დროს კეთილი სახელი ჰქონდათ რესპუბლიკაში. აჭარა კარგ შევსებას აძლევდა რესპუბლიკის ნაკრებს, ახლა კი... ნაკრებს ვინღა ჩივის, აჭარამ ჩათვლა ვერ მიიღო პროგრამის ვერც ერთ სახეობაში.

დროა აჭარის სპორტის მესვეურებმა სერიოზულად მოჰკიდონ ხელი ველოსპორტის აღორძინებას. ტრადიციების დაკარგვას არავინ გვაპატიებს.

ნ. ახვლედიანი.

ტექნიკური შედეგები

საქართველოს VI სპარტაკიადა. საგზატკეცილო ველოსპორტი. 4 მაისი. გუნდური რბოლა 100 კმ-ზე.

1. თბილისი I (დ. კობაიძე, ა. ხომუტოვი, ა. ხახიაური, ა. კოსტეცკი) — 2:19.25, 2. თბილისი II (პირადი ჩათვლა — ი. რთველიაშვილი, ვ. ალიბეგაშვილი, შ. ჩქარეული, რ. წიქაძე) — 2:19.50, 3. აფხაზეთი (ვ. მალევანიკი, მ. კოშელიანი, ო. ნოვომლინოვი, რ. კალაჯიანი) — 2:19.52, 4. ქუთაისი (ო. ქათამაძე, ა. ჩოგოვაძე, ზ. ლომთაძე, თ. ქიმუცაძე) — 2:22.35, 5. აჭარა — 2:32.20, 6. რუსთავი — 2:22.50, 7. გორი—2:45.40.

6 მაისი. ჯგუფური რბოლა 150 კმ-ზე.

1. გ. პლოხინოვი (ქუთაისი) — 3:45.09, 2. ა. კოსტეცკი (თბილისი) — 3:45.01, 3. მ. კოშელიანი (აფხაზეთი) — 3:45.02, 4. ი. რთველიაშვილი (თბილისი) — 3:45.20, 5. ნ. კრასავცევი (რუსთავი) — 3:45.30, 6. ზ. ლომთაძე (ქუთაისი)—3:45.38.

საბოლოო გუნდური ადგილები. 1. თბილისი — 22 ქულა, 2. აფხაზეთი — 14, 3. ქუთაისი — 8, 4. რუსთავი — 2. აჭარის, გორისა და ზუგდიდის გუნდები უქულოდ დარჩნენ.

რადისტების ზეიმი

—დაადეთ თითი რუკაზე ნებისმიერ ქვეყანას, ჩვენს რადიოსადგურს მასთან კავშირი აქვს, — გვითხრა დოსააფის რესპუბლიკური რადიოტექნიკური სკოლის უფროსმა ზ. ეფრემიძემ.

მართლაც, ამ სკოლის მოსწავლეებს მსოფლიოს უამრავ ქვეყანასთან აქვთ რადიოკავშირი დამყარებული. ამ სკოლაში, რომელიც თანამედროვე აპარატებითაა აღჭურვილი, ზრდიან რადიოსაქმის სპეციალისტებს, სპორტსმენებს, ამზადებენ კადრებს საბჭოთა არმიისთვის.

გვიჩვენეს სკოლის აღზრდილთა ბარათები, რომლებიც საბჭოთა არმიიდანაა გამოგზავნილი. „აქ ყველას უკვირს საქართველოს დოსააფის რადიოტექნიკური სკოლიდან და, საერთოდ, ჩვენი რესპუბლიკიდან ჩამოსულთა ოსტატობა. ამბობენ, ასე დიდებულად მომზადებულებს სხვა არც ერთი სკოლა და არც ერთი რესპუბლიკა არ გზავნისო“.

ეს სიტყვები ერთ-ერთი ბარათიდან ამოვიწერეთ, რომელსაც წითელარმიელი ზ. მჭედლიძე აწერს ხელს და თან მადლობას უხდის თავის აღმზრდელებს. ამ უკანასკნელებმა 7 მაისს იზეიმეს რადიოს დღე. ყველაზე დიდი ზეიმი კი მაინც სკოლის ხელმძღვანელს, მასწავლებლებს ვ. მატუშევს, ი. კოჩმაზოვს, ი. სულიკანოვს და ვ. თეიმურაზოვს აქვთ. ისინი, გარდა რადიოს დღისა, დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30 წლისთავსაც ზეიმობენ, როგორც ამ ბრძოლების მონაწილენი.

სწორედ ამ ორ დიდმნიშვნელოვან თარიღს მიუძღვნეს თავიანთი შეჯიბრება ამ სკოლის მოსწავლეებმა. მათს მასწავლებლებს ვთხოვეთ დაესახელებინათ საუკეთესონი. აი, ისინიც: ლ. არუთინიანი, ა. ბედოშვილი, დ. გამილაღდიშვილი, გ. კორმანწაშვილი, გ. ტოკაძე...

ბ. ფუფიშელი.

მამულისთვის თავდადებულნი

ფეხით — ნაომარ მიწაზე

თორმეტი წელია, რაც ნევისპირა ქალაქში ვცხოვრობ და ვმუშაობ. ამ ხნის განმავლობაში ლამის მთელი ბალტიისპირეთი შემოვიარე. ამ. ბოლო დროს კი უფრო შორეული მხარეების გაცნობამ გამიტაცა. შვებულების ნახევარს, როგორც წესი, მოგზაურობაში ვატარებ, ნახევარს კი — მშობლიურ საქართველოში...

1972 წლის ზაფხულში მანძილი ავრორადან მოსკოვის კრემლამდე ფეხით 12 დღეში გავიარე.

მორიგი შვებულება ერთად გავატაროთ, დიდი სამამულო ომის ადგილები მოვინახულოთო, მითხრა ჩემმა მეგობარმა ლეონიდ კუზნეცოვმა. ერთად ვემზადებოდით, მაგრამ მოხდა ისე, რომ ლეონიდი ვერ წამოვიდა. რაღა უნდა მექნა, გზას მარტო დავადექი, რა თქმა უნდა, ისევ ფეხით. ამჯერად ლენინგრადიდან მინსკისკენ გავწიე.

თანაბარი სიჩქარით მივდიოდი. ირგვლივ ყველაფერს ვაკვირდებოდი, ვეცნობოდი ნაომარ სოფლებსა და ქალაქებს, ბრძოლების ადგილებს, საძმო საფლავებს. ბევრი სურათი გადავიღე. საინტერესო ბევრი ვნახე და მინდა, ზოგი რამ მკითხველსაც გავუზიარო.

მაშ ასე. დღე პირველი: ლენინგრადი — როჟდესტვენო, 75 კმ. დღე მეორე: როჟდესტვენო—ლუგა, 67 კმ... და ასე შემდეგ. სულ თორმეტ დღეში ათასკილომეტრიანი გზა გავლიე. დღეში საშუალოდ 60-70 კილომეტრს გავდიოდი.

ამინდმაც გამიმართლა. მხოლოდ ორჯერ, რუსეთისა და ბელორუსიის საზღვართან მომისწრო ზაფხულის შხაპუნა წვიმამ.

მოგზაურობას დილაადრიანად ვიწყებდი. საათში საშუალოდ 5-6 კილომეტრს გავდიოდი. 15-15 წუთს თუ შევისვენებდი. ასე შეუჩერებლივ მივდიოდი დანიშნულ ქალაქამდე. საღამოობით, თავისუფალ დროს ქალაქების ღირსშესანიშნაობებს ვეცნობოდი.

ვსადილობდი რესტორანში, კაფეში, მაგრამ ზურგჩანთაში მაინც მუდამ მქონდა წყალი, პური, ყველი, თაფლი, შოკოლადი... ისეთი სანოვაგე, რომელიც არ ფუჭდება.

ღამეს მუდამ სასტუმროებში ვათენებდი. ამ მხრივაც გამიმართლა. ერთხელ რუსი კაცის ოჯახის სტუმარი გახლდით, ჩინებული მასპინძლობა გამიწიეს. ერთხელაც სკოლაში, სპორტსმენებთან დავბინავდი.

სიარულში ტრანსპორტი ხელს არ მიშლიდა, მოძრაობის წესებს ვიცავდი. ლენინგრად — მინსკის, განსაკუთრებით მოსკოვ — მინსკის ტრასა ძალიან ფართოა: სამრიგიანი მოძრაობაა და კიდევ თითო რიგი ტრაქტორებისა და კომბაინებისთვისაა დატოვებული. მე ქვიშაყრილზე დავდიოდი.

წიგნებითა და რუკებით წინასწარვე შევისწავლე მთელი მარშრუტი, ასე რომ, ისტორიული ძეგლებისა და საინტერესო სანახაობების ძებნაში დიდი ჯაფა არ დამდგომია.

ახლა იმის შესახებ გიამბობთ, თუ რა ვნახე და რამ დატოვა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება.

კულიკოვოში, სადაც ომის წლებში ლენინგრადის ფრონტის ხაზი გადიოდა, ერთ მხარეს სამშობლოს დამცველი მამაცი საბჭოთა ჯარისკაცები იდგნენ, მეორე მხარეს კი — მტრები, გერმანელი ფაშისტები. ახლა აქ ტანკები დაუდგამთ, მოუწყვიათ ბრძოლების ამსახველი დიორამა.

გავიარე გატჩინო. აქ პ. კაშენკოს სახელობის საავადმყოფოდან ფაშისტებს 900 დაჭრილი საბჭოთა მოქალაქე გამოუყვანიათ, უწამებიათ და დაუწვავთ. ამ ტრაგედიის ადგილზე ობელისკია აღმართული.

ფსკოვი... ამ ქალაქში გავდიოდი სამხედრო სამსახურს. ძალიან შეცვლილა, დამშვენებულა. ქალაქის ძველი ნაწილის შესწავლა-რესტავრაცია დაუწყიათ. ვნახე ჩემი ყოფილი მეთაურები. ვეწვიე კეთილ მოხუცს გლებ ტრავინს, რომელმაც 1928 წელს სტარტი აიღო კამჩატკის პეტროპავლოვსკიდან და სამ წელიწადში საბჭოთა ქვეყნის საზღვრების გაყოლებით, „ფოლადის ირემზე ამხედრებულმა“, როგორც მას ხუმრობით უწოდებენ, ველოსიპედით 85000 კილომეტრი შემოიარა. ორმოცი წლის შემდეგ კი მან ეს მარშრუტი თვითმფრინავით გაიარა.

ქალაქ ვიტებსკს შარშან 1000 წელი შეუსრულდა. ვნახე ყოფილი საპატიმრო. ფაშისტების მიერ აქ ჩამწყვდეული ადამიანი განწირული იყო. მხოლოდ რამდენიმე კაცი გადაურჩა სასწაულებრივად სიკვდილს. საპატიმროს კედლები წარწერებითაა სავსე. აი, ერთი პატარა, 13 წლის გოგონას სევდისმომგვრელი წარწერა: „მამიკო, დედას ნუ ეძებ, იგი დღეს წაიყვანეს დასახვრეტად“...

ახლა ამ ადგილას მუზეუმია. ქალაქს რომ გავცდი, დიდ სასაფლაოს წავაწყდი. 4000 კაცი განისვენებსო, მითხრეს. ცნობილი ვიტებსკ — ორშის შეტევის მონაწილენი ყოფილან. სწორედ მათ ჩაუყარეს საძირკველი დიდ ოპერაციას, რომელსაც „ბაგრატიონი“ ეწოდა.

ორშაში ლეგენდარული პარტიზანი მეთაურის კონსტანტინე ზასლონოვის სახლ-მუზეუმი ვინახულე. ვნახე ძეგლად მდგარი კატიუშები, რომლებიც მტერს რისხვად პირველად აქ მოევლინენ, კუტეინსკის ძველი მონასტერი, სადაც ოდესღაც წიგნები იბეჭდებოდა... გზისპირთან ყველგან ძმათა სასაფლაოებია. ორშამინსკის გზაზე, სოფელ ავხუტში განისვენებს ნორმანდია — ნემანის ესკადრილიის მამაცი ფრანგი მფრინავი ჟან გასტონი. ნანახი და განცდილი მეტად მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს. „არა, ომი არ უნდა განმეორდეს“, ათასგზის ვიმეორებდი ჩემთვის.

სიმშვიდეს ისევ ბუნების სიმშვენიერე თუ დაგიბრუნებს. ირგვლივ თვალუწვდენელი ნაძვებია.

გმირ ქალაქ მინსკის თავგადასავალი ყველამ კარგად იცის. აქ ძველი შენობა თითქმის აღარ დარჩა. მკვდრეთით აღმდგარი და განახლებული ქალაქის ცენტრში ქანდაკება დგას, მარადიული ცეცხლი ანთია იმათ მოსაგონრად, ვინც სამშობლოსთვის თავი გასწირა...

მინსკიდან ხატინს წავედი. ვნახე სოფელი, რომლის უკლებლივ ყველა მცხოვრები — 149 კაცი, ქალი და ბავშვი ფაშისტებმა ცოცხლად დაწვეს. დავათვალიერე სასწაულებრივი მემორიალური კომპლექსი — დიდ სამამულო ომში დამწვარი 9200 ბელორუსიული სოფლის სიმბოლური სასაფლაო, რომელიც მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს.

დასასრულ მინდა ჩვენს თანამემამულეებზე გიამბოთ. ნეველში კეთილ ადამიანებს ყვავილებით შეუმკიათ ქართველი ვაჟკაცების წმინდა საფლავები. აქ განისვენებენ გვარდიული შენაერთის თავდადებული მებრძოლები: პოდპოლკოვნიკი ბ. გობედაშვილი, უფროსი ლეიტენანტები: ო. მეტრეველი, პ. ლომიძე, რიგითები გ. პოლოვაძე, გ. ავიძბა, პ. ხორავა, ეფრეიტორები ა. შეწირული, ი. გოგოშვილი. აქვეა დაკრძალული ყაზახი ხალხის გმირი შვილი მანშუკ მამეტოვი. ფსკოვ — ნეველის გზაზე, ნეველთან ახლოს, უსტდოლიტის ძმათა სასაფლაოზეა დაკრძალული ლეიტენანტი შ. სანიკიძე, ვიტებსკის ოლქის სოფელ ბურკში განისვენებენ ვ. ბარამიძე, გ. დობორჯგინიძე, ი. ბერძენია...

უკან ტრანსპორტით დავბრუნდი. ჩემს მიერ განვლილ გზებზე ყველგან შრომის სიმღერები ისმოდა. ნაომარ მიწაზე მეცხრე ხუთწლედის, მშვიდობის ზაფხული იდგა.

ბონდო მანია,
ქარხანა „ბოლშევიკის“ მარტენის საამქროს მეფოლადის თანაშემწე.
ლენინგრადი.

„...მეც შემომხედეთ, ოლექს!“

დოკუმენტური მოთხრობა

ყაზბეგის ტურბაზის ეზოში მდგარ ცარიელ კომფორტულ ავტობუსში შუახნის, სანდომიანი გარეგნობის კაცი ავიდა და უკან მიმყოლ შოფერს მიმართა:

— სად მირჩევთ დაჯდომას, სტუმრებს ხელი რომ არ შევუშალო?

— სადაც ინებებთ, ძია ალექსი, — გაუღიმა შოფერმა, — სტუმრებს თავისუფლად ეყოფათ ადგილები.

— საიდან არიან? — იკითხა ალექსიმ და სკამზე ფრთხილად დაეშვა.

— გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, — უპასუხა შოფერმა და საჭეს მიუჯდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ტურბაზიდან გამოსული გერმანელი ტურისტები სიცილ-ხარხარით ავიდნენ ავტობუსში და ადგილები დაიკავეს.

ავტობუსმა თბილისისკენ აიღო გეზი.

— მაპატიეთ, თქვენ აქაური ხომ არ ბრძანდებით? — ჰკითხა უკან მჯდომმა ალექსის და მხარზე ხელი მოუთათუნა.

ალექსი შემობრუნდა: მოხდენილი შესახედაობის ჭაღარა კაცი თავაზიანი ღიმილით უყურებდა, ოდნავ ნასვამიც ჩანდა.

— დიახ, აქაური ვარ, — უპასუხა ალექსიმ. — თქვენ რუსი ხართ?

— არა, — ღიმილით თქვა ჭაღარამ, — ჩვენ ყველანი გერმანელები ვართ.

— კარგად ლაპარაკობთ რუსულად.

— არა უშავს, — თავმომწონედ ჩაიცინა გერმანელმა, — გასაოცარი ხალხი ხართ ქართველები, სრულიად უცნობი კაცის შინ შეპატიჟება და გამასპინძლება ისე გიხარიათ, თითქოს უახლოესი მეგობარი და ნათესავი იყოს თქვენი...

მოხევემ ღიმილით უპასუხა გერმანელის სიტყვებს.

— მე მესამედ ვარ საქართველოში, — განაგრძო ლაპარაკის სალღელაშლილმა უცხოელმა. — მოხიბლული ვარ თქვენი სტუმართმოყვარეობით... აი, დღესაც ერთმა ახალგაზრდამ მე და ჩემი მეგობრები გვარიანად გამოგვათრო.

ცოტა არ იყოს, უჩვეულოდ ეჩვენებოდა ალექსის გერმანელის ასე ენად გაკრეფა, მაგრამ მაინც მშვიდად უსმენდა.

— ჯერ კიდევ ომამდე ვიყავი კავკასიაში და მაშინ ავედი ამ თქვენს დიდებულ მწვერვალზე — მყინვარწვერზე.

უცბად მან სახელი ჰკითხა ალექსის და როცა თავისიც უთხრა, ბოდიში მოუხადა, აქამდე რომ არ მოაგონდა ეს.

მერე კარგა ხანს ლაპარაკობდა იმაზე, თუ როგორ ჩამოვიდა პირველად საქართველოში და როგორ დაიპყრო მყინვარწვერი.

— ალბათ ყოველ წელს ადიხართ მყინვარწვერზე, ოლექს? — უთხრა ბოლოს, — როგორ შეიძლება, აქ ცხოვრობდეს და წელიწადში ერთხელ მაინც არ ავიდეს კაცი, იმ უფლის კარვიდან არ გადმოხედოს ქვეყანას!

ალექსის ხმა არ გაუღია, ავტობუსი ახლა ჯვრის უღელტეხილს უახლოვდებოდა და მყინვარის დასავლეთი მხარე მშვენივრად მოჩანდა.

მოხევე მყინვარს გაჰყურებდა ჩაფიქრებული.

— თქვენ ჩემს შეკითხვას არ უპასუხეთ, ოლექს.

— რომელ შეკითხვას? — გამოერკვა ალექსი.

— როგორ დავიჯერო, რომ აქ მცხოვრებ კაცს არ გიტაცებდეთ ასეთ დიდებულ მწვერვალთან შერკინება. იქნებ ერთხელაც არ ასულხართ მყინვარზე!

— ავსულვარ, როგორ არა... — უპასუხა მოხევემ გაბზარული ხმით, თან თვალი ისევ მყინვარწვერზე ჰქონდა, — ახალგაზრდობაში...

— ცრუობთ ოლექს, ცრუობთ! — თითქოს დამცინავად წამოიძახა გერმანელმა, — არც ახლა ხართ ბებერი, თქვენ რომ იქ ამსვლელი იყოთ...

თუმცა ეს ირონია უწყინარი იყო, მაგრამ მოხევეს გული ატკინა უცხოელის სიტყვებმა.

ავტობუსი ამთავრებდა ბიდარას აღმართს.

აღფრთოვანებული ტურისტები მყინვარს მიშტერებოდნენ, ზოგიერთნი ფოტოაპარატებს აჩხაკუნებდნენ.

— მაინც, რომელი წლის მერე აღარ ასულხართ მყინვარზე, ოლექს? — კვლავ იკითხა ეჭვიანად გერმანელმა.

მოხევეს შუბლი დაეღრუბლა და აბეზარ მოსაუბრეს თვალი აარიდა.

მოხევის იერის მოულოდნელი შეცვლით გაოცებულ გერმანელს ღიმილი ბაგეზე შეეყინა, თუმცა ვერ მიხვედრილიყო, რა აწყენინა ამ კაცს.

მოხევე კი სულ სხვა ფიქრებმა გაიტაცა.

სახელგანთქმული მთამსვლელის, საბჭოთა ალპინიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის იაგორ კაზალიკაშვილის ვაჟი ალექსი დიახაც ბევრჯერ იყო ასული არა მარტო მყინვარწვერზე, არამედ თხუთმეტამდე ცნობილ თუ უსახელო მწვერვალზე.

ალექსის ისიც გაახსენდა, რაჭაში, მწვერვალ ედენაზე საკუთარი მხრებით რომ აიტანა კიროვის ბიუსტი.

სახელოვანი მამა იაგორ კაზალიკაშვილი თავის ვაჟში ღირსეულ შემცვლელს ხედავდა, რომელიც ვეფხვივით ინავარდებდა ამაყ მწვერვალებზე და დიდებით შემოსავდა ქართული მთამსვლელობის სახელს.

ეს იყო სამი ათეული წლის წინათ.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიის ფაკულტეტის V კურსზე სწავლის დროს მოუსწრო სამამულო ომმა ალექსი კაზალიკაშვილს, როცა სვანეთის მთებში დიპლომზე მუშაობდა. ფაკულტეტიდან რამდენიმე კაცთან ერთად იგი მოსკოვს, სამხედრო აკადემიაში გაგზავნეს ქიმიურ მომწამლავ ნივთიერებათა საწინააღმდეგო საშუალებების შესასწავლად, 1942 წლის სექტემბერში კი პირისპირ შეხვდა მტერს ვორონეჟისთვის ბრძოლებში.

მტერთან მისი პირველივე შეხვედრა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩატარდა. ამავე დროს, ალექსისთვის ეს იყო პირველი და უკანასკნელი შეყრა მტერთან.

საბჭოთა არმიის სხვა ნაწილებთან ერთად უმცროსი ლეიტენანტი ალექსი კაზალიკაშვილი თავისი ქვეგანაყოფით ქალაქის გარეუბანში იყო გამაგრებული, ქალაქის ძირითადი ნაწილი კი გერმანელებს ეკავათ. წინა დღეს გაფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა ქალაქის აღმოსავლეთი ნაწილის მისადგომებთან. ის საბედისწერო განთიადის ბოლო წუთები განსაკუთრებით მკვეთრად ჩარჩა ალექსის მეხსიერებაში. მტრის არტილერიამ მათს საფარსაც დაუშინა ცეცხლი.

როცა ალექსის აცნობეს, რომ სარდლობის ბრძანებით ქალაქის მისადგომები უნდა დაეტოვებინათ, სწორედ იმ წუთებში რატომღაც გაახსენდა მამის სიტყვები, ბავშვობისას რომ გაეგონა: მოხევე თავისუფალი იყოს, თორემ ნეკერს გაკვნეტს ხარივით და იმით იცოცხლებს, ყინულის ლოგინს გაიშლის, ოღონდ იმ ლოგინზე დაწოლა-ადგომას სხვა ნუ უბრძანებსო...

მტერი კი წინ მოიწევდა, მოიწევდა ცეცხლითა და მახვილით, ანგრევდა და წვავდა ირგვლივ ყველაფერს... მოხევემ ავტომატის უკანასკნელი ჯერიც მიაცალა ცეცხლმოკიდებულ ქურჩებში მტერს, როცა მის გვერდით ქვემეხის ყუმბარა აფეთქდა და ყველაფერი სიბნელემ ჩაყლაპა.

რამდენ ხანს იყო ნანგრევებში ჩამარხული, ან ვინ შეძლო მისი გამოყვანა, ალექსის არ გაუგია. თვალი რომ გაახილა, საველე ჰოსპიტალში იწვა, ხოლო მისი მარცხენა ფეხის ადგილზე საშინელი, მკვდარი სიცარიელე იყო.

ფეხის დაკარგვით გამოწვეულ პირველ შეძრწუნებასთან ერთად მის გონებაში მიჯრით გაიელვეს მშობლიურმა მწვერვალებმა, რომლებზეც ალექსის დღეს უკვე არარსებული ფეხი ჰქონდა დადგმული... იგი მყინვარზე ველარასოდეს ავიდოდა, ვეღარ დატკბებოდა მშობლიური მთების მომხიბლავი სილამაზით და ისევ გრძნობა დაკარგა...

* * *

საბჭოთა არმიამ საკუთარ ბუნაგში მოუღო მტერს ბოლო.

ალექსიც დაუბრუნდა მშობლიურ კუთხეს. ომგადახდილი ვაჟკაცი პასუხსაგებ და საპატიო საქმეს ემსახურება: იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა რაიონულ გაზეთს, დღეს კი პარტიის რაიონული კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას განაგებს.

ალექსი ყოველ დილით ნაღვლიანი თვალებით შეჰყურებს მისგან ბავშვობაში დაკვალულ მყინვარწვერს, ყუროსა თუ შანოს...

ფეხი... ალალი იყოს იგი სამშობლოს მიწა-წყლისთვის, ეს ლამაზი მთები ხომ არ გახდნენ გადამთიელის შესაბილწავი. ფეხი რა სათქმელია, მილიონობით ვაჟკაცმა სიცოცხლე შესწირა სამშობლოს დაცვას...

ავტობუსი ფასანაურში გაჩერდა.

ალექსი ფიქრებიდან გამოერკვა, ფეხზე წამოდგა და უცნაურად დაღონებულ, თავჩაქინდრულ გერმანელს ნაძალადევად გაუღიმა.

— თქვენ ალბათ გახსოვთ თქვენი უკანასკნელი შეკითხვა?

გერმანელი დაიბნა.

— მე შეგახსენებთ, — თქვა ალექსიმ. — თქვენ მკითხეთ, რომელი წლის მერე აღარ ავსულვარ მყინვარწვერზე.

— დიახ, დიახ, — გაახსენდა გერმანელს, — ასე გკითხეთ, მაგრამ...

— გეტყვით: ორმოცდაორის მერე აღარ ავსულვარ.

მერე შებრუნდა და ჩასასვლელისკენ პროთეზით ფრთხილად გააბიჯა.

გერმანელმა გაოცებისა და უხერხულობისგან პირი დააღო, ცხვირსახოცით ოფლიანი სახე მოიწმინდა და მანქანიდან ჩასულ ალექსის გაეკიდა.

— ოლექს, ოლექს! — მისძახოდა ის, — წუთით მოიცადეთ!

მაგრამ ალექსის არ მოუხედავს, მძიმედ მიაბიჯებდა გაშეშებულ მარცხენას.

გერმანელმა გადაასწრო და წინ გაუჩერდა:

— მაპატიეთ, ოღონდ მეც შემომხედეთ, ოლექს! ორმოცდაორის მერე მეც მარცხენა ხელით ვესალმები ადამიანებს.

ალექსი გერმანელის გამოწვდილ მარჯვენას დააშტერდა: შემაზრზენი, მუმიისფერი, გაქვავებული ხელოვნური ხელი გამოეშვირა მას და უზომოდ მავედრებელი, ნაღვლიანი თვალებით შეჰყურებდა შუბლშეკრულ მოხევეს.

შოთა არაბული.
ყაზბეგი.

ფეხბურთელი, ფრონტელი...

ძველი თაობის ფეხბურთის მოყვარულებს უდავოდ ეხსომებათ ბათუმის „დინამოს“ მოთამაშე, თავდამსხმელი ალიოშა მარუაშვილი, ომამდელ ფეხბურთელთა პლეადის ერთ-ერთი წარმომადგენელი.

დაიბადა ა. მარუაშვილი 1910 წელს ქუთაისში. მას მშობლები ადრე გარდაეცვალა და მცირეწლოვან ობოლს უფროსი ძმა ზრდიდა, მზრუნველობდა და ხელობაც ასწავლა — ტყავის გამომჭრელს მიაბარა შეგირდად.

13-14 წლისა იყო ალიოშა, როცა თავი მოუყარა მეზობელი უბნების ტოლ ბიჭებს, შექმნა ფეხბურთის გუნდი, რომელსაც სახელად „ქარიშხალი“ შეარქვეს. ნორჩი ფეხბურთელები გატაცებით დაეწაფნენ საყვარელ თამაშს, საღამოობით, თავისუფალ დროს, ვარჯიშობდნენ, მართავდნენ შეჯიბრებებს სხვა გუნდებთან.

ორი წლის შემდეგ 16 წლის ჭაბუკი ზესტაფონში გადავიდა სამუშაოდ. აქ მან მალე გამოძებნა საერთო ენა ადგილობრივ ახალგაზრდებთან, ფეხბურთის მოყვარულებთან, მუშაობდა და თამაშობდა კიდეც ზესტაფონის გუნდში, სადაც, სხვათა შორის, გამოდიოდნენ შემდგომ გამოჩენილი ქართველი მსახიობი სერგო ზაქარიაძე, ძმები აბაშიძეები, ცეცხლაძე და სხვები.

18 წლის ალიოშა მარუაშვილი კვლავ დაუბრუნდა ქუთაისს. აქ იგი მიიწვიეს ადგილობრივ „დინამოში“, რომელიც იმ ხანებში ერთ-ერთი საუკეთესო იყო საქართველოში. დინამოელთა რიგებში იყვნენ ჟ. მურღულია, კ. ასათიანი, ჯ. ბერულავა, ლ. ასათიანი, ლ. ხომასურიძე, კ. ხომტარია, ბ. სახელაშვილი, ა. ალიმონაკი, ჯ. კილაძე, გ. კაპანაძე და სხვანი. ამ მეგობრულ, შეთამაშებულ კოლექტივს არაერთი წარმატება მოუპოვებია სხვადასხვა შეჯიბრებაში.

1935 წელს ა. მარუაშვილი ოჯახით ბათუმში გადადის საცხოვრებლად, იქ იწყებს მუშაობას და, რა თქმა უნდა, განაგრძობს ფეხბურთის თამაშს. იგი მაშინვე მიიწვიეს ადგილობრივ „დინამოში“, სადაც თავდასხმის მოწინავე მოთამაშე გახდა. ალიოშა გამოირჩეოდა სწრაფი დრიბლინგით, კომბინაციური ალღოთი, მინდვრის კარგი ხედვით, ზუსტი, ძლიერი დარტყმით, მაღალი შედეგიანობით. ტანდაბალი იყო (167 სმ), მაგრამ ეფექტურად თამაშობდა თავით.

1941 წელს, როგორც კი დაიწყო ომი, ალიოშა მარუაშვილი თვითონ გამოცხადდა სამხედრო კომისარიატში და ფრონტზე წასვლის სურვილი განაცხადა. სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ უმცროსი ლეიტენანტის წოდებით წავიდა ფრონტზე და სამ წელიწადს მამაცურად ებრძოდა ჰიტლერელ დამპყრობლებს. 1943 წლის ერთ-ერთ ცხარე ბრძოლაში ჩრდილოეთ კავკასიაში, ბესლანთან შეწყდა ვაჟკაცი ქართველი მეომრისა და ფეხბურთელის სიცოცხლე.

თავმდაბალი, უწყინარი, კეთილი კაცი, საუკეთესო მეოჯახე და მეგობარი იყო ალიოშა მარუაშვილი, რომელიც ყველას უყვარდა, ყველა პატივს სცემდა. მან პირნათლად მოიხადა სამშობლოს პატრიოტის წმინდა ვალი.

ა. ელიავა,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, ვეტერანი ფეხბურთელი,
ბათუმი.

ისინი სამშობლოს იცავდნენ

მოჭადრაკეთა მხედრული გმირობა

საქართველოს მოჭადრაკეებმა 1941 წლის მაისში თავიანთი IV ჩემპიონატი დაამთავრეს, ივნისში კი საბჭოთა ქვეყანას ფაშისტური გერმანიის ჯარები ვერაგულად თავს დაესხნენ. საბჭოთა ხალხი აღდგა სამშობლოს დასაცავად. მილიონობით საბჭოთა ადამიანი დიდ სამამულო ომში ჩაება. სხვებთან ერთად საქართველოს მოჭადრაკეებმაც ხელში შაშხანა აიღეს.

ომის ქარცეცხლში კავკასიის დამცველთა რიგებში ჩადგნენ საქართველოს იმდროინდელი ჩემპიონი ოსტატი ა. ებრალიძე, ა. ფირცხალავა, გ. ოსიპოვი, ო. ალხანიშვილი... სხვა ფრონტებზე იბრძოდნენ ა. ჯაკობია, ა. ღონღაძე, თ. მელიქიძე, ვ. ქარსელაძე, ი. სმირნოვი, ი. ნეკრასოვი, რ. თავარიანი. მეომრის ფარაჯა ჩაიცვეს გ. გაჩეჩილაძემ, ნ. სოროკინმა, მ. შიშოვმა, ე. ყურაშვილმა, ბ. ვეიზერმა და სხვ.

მამულისთვის გაჩაღებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში თავი დადეს ნიჭიერმა მოჭადრაკეებმა ს. კანკავამ, ა. თომაშვილმა, დ. წერეთელმა, ვ. მედვედევმა, მ. ბლაგიძემ, კ. ტანიმანიდიმ და მ. ლაპიდუსმა. ჩვენი ჭადრაკის მატიანე არასოდეს დაივიწყებს მათ.

სწორედ ომის მრისხანე დღეებში, 1942 წელს, როცა ჰიტლერელთა ურდოები კავკასიონის გადმოლახვას ლამობდნენ, თბილისში სახელდახელოდ გაიმართა საჭადრაკო ტურნირი დიდოსტატ ს. ფლორის მონაწილეობით. შეჯიბრებაში ფრონტელმა მოჭადრაკეებმაც მიიღეს მონაწილეობა. ჰიტლერელებს, რასაკვირველია, სასიამოვნოდ არ დარჩებოდათ ეს ტურნირი, რომელიც საბჭოთა ადამიანების ურღვევ სიმტკიცეზე და გამარჯვების დიდ რწმენაზე მეტყველებდა.

როცა საბჭოთა არმიამ ევროპის ქვეყნების გათავისუფლება დაიწყო, თბილისში კვლავ გამოცოცხლდა საჭადრაკო ცხოვრება.

1944 წელს ძველ საჭადრაკო კლუბში დაფებს მიუსხდნენ დიდოსტატი ა. ლილიენტალი, ოსტატები ა. ებრალიძე, გ. მიკენასი, მ. შიშოვი, ნ. სოროკინი... შემოდგომაზე ჯერ თბილისის პირველობა (I — ა. ბლაგიძე) გაიმართა, მერე საქართველოს V ჩემპიონატი (I — მ. შიშოვი). სხვათა შორის, ამ ტურნირში პირველად ითამაშა 15 წლის ტ. პეტროსიანმა, მსოფლიოს მომავალმა ჩემპიონმა.

საბჭოთა ხალხმა ძლევამოსილად, გამარჯვებით დააგვირგვინა დიდი სამამულო ომი. ქართველ მოჭადრაკეთაგან ბერლინამდე პ. ხიზანიშვილი მივიდა.

დღეს, როცა დიდი გამარჯვების 30 წლისთავს ვზეიმობთ, მადლობა გვინდა ვუთხრათ ყველას, მათ შორის ნაომარ მოჭადრაკეებს, რომელთა თავდადების წყალობითაც უღრუბლო ცა გვაქვს.

თ. გიორგაძე.

თელავის რაიონის სოფელ ვანთის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი ავთანდილ ესიტაშვილი ჯერ კიდევ უწვერული ჭაბუკი იყო, დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო. იგი მოხალისედ წავიდა ჯარში, შინ გული არ უძლებდა. სამხედრო სასწავლებელში ჩარიცხეს და 1942 წლის ზაფხულში მარუხის ზეკარზე მოუხდა ბრძოლის დაწყება. ერთ-ერთ ბრძოლაში ესიტაშვილი მძიმედ დაიჭრა და ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდა.

...1946 წლის სექტემბრიდან დღემდე ა. ესიტაშვილი ვანთის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლად მუშაობს. აქ მან თავი გამოიჩინა, როგორც უნარიანმა თავკაცმა. მისი აღზრდილი არიან კარგი სპორტსმენები — მოჭადრაკე ა. კირვალიძე, ხელბურთელი დ. კალატოზიშვილი, მოჭიდავეები პ. კირვალიძე, ნ. მოდებაძე, ფეხბურთელი გ. კირვალიძე (რუსთავის „მეტალურგის" გუნდის წევრი) და ბევრი სხვა.

მ. ცაკაშვილი,
თელავის მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელი.

• • •

სურათზე: ა. ესიტაშვილი.

შეხვდნენ ომისა და სპორტის ვეტერანებს

ქუთაისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტთან არსებული სახალხო უნივერსიტეტის თაოსნობით მოეწყო შეხვედრა სამამულო ომის მონაწილე ვეტერან სპორტსმენებთან.

შეხვედრა გახსნა სახალხო უნივერსიტეტის რექტორმა, სამამულო ომის ვეტერანმა ნ. რამიშვილმა. ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის გამგემ ვ. აფრიდონიძემ დამსწრეთ უამბო ქუთაისელ ვეტერან სპორტსმენთა მიღწევებზე სპორტში, მათს მონაწილეობაზე დიდ სამამულო ომში.

სამამულო ომისა და სპორტის ვეტერანებს მიესალმნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მოგონებებით გამოვიდნენ ვეტერანები ი. გირგვლიანი, მ. მახარაძე და სხვ.

დასასრულს ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ლ. ახვლედიანმა ომისა და სპორტის ვეტერანებს სამახსოვრო სიგელები გადასცა.

შ. ნიჟარაძე.
(ჩვენი კორ.).

ქუთაისი.

ფინალური ტურნირის წინ

მოსკოვი, 9 მაისი (ტელეფონით, ჩვენი კორ). III ქვეჯგუფის აუტსაიდერთან — ესტონეთის ნაკრებთან საქართველოს წყალბურთელების გუშინდელი შეხვედრის შედეგი ეჭვს არ იწვევდა. ყველა ფიქრობდა, რომ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები გაიმარჯვებდნენ. ასეც მოხდა: საქართველოს გუნდის უპირატესობა აშკარა იყო და მატჩიც მისი იოლი გამარჯვებით დამთავრდა — 13:5.

სენსაცია შემოგვთავაზეს ლიტველმა სპორტსმენებმა, რომლებმაც დაძაბულ ბრძოლაში სძლიეს ბელორუსიის ნაკრებს — 4:3.

ტურნირის ნამდვილი აღმოჩენაა უზბეკეთის გუნდი, რომელიც ექვსეულში გასვლის ერთ-ერთი რეალური კანდიდატია. გუშინ უზბეკეთის წყალბურთელებმა თურქმენეთის ნაკრები დაამარცხეს — 5:3. სომხეთის გუნდმა სათანადო მეტოქეობა ვერ გაუწია უკრაინის ნაკრებს — 3:8. ლენინგრადელებმა სძლიეს ტაჯიკეთის გუნდს (6:2), რსფსრ-ს წყალბურთელებმა — აზერბაიჯანის კოლექტივს (6:3). ყაზახეთის ნაკრებმა ანგარიშით 9:5 დაამარცხა მოლდავეთის წყალბურთელები.

ხვალ ქვეჯგუფებში ბოლო მატჩები გაიმართება და ცნობილი გახდება ვინაობა იმ ექვსი გუნდისა, რომლებმაც სპარტაკიადის საპრიზო ადგილებისთვის უნდა იბრძოლონ. როგორც ცხრილებიდან ჩანს, პირველ ქვეჯგუფში ეჭვს არ იწვევს უკრაინელთა გამარჯვება. II ადგილზე პრეტენზიას აცხადებენ რსფსრ-ს წარმომადგენლები, რომლებმაც 6 ქულით უკვე დაამთავრეს ქვეჯგუფში ასპარეზობა. რუსეთის ფედერაციის სპორტსმენებს მეტოქეობას ვეღარ გაუწევს აზერბაიჯანის ნაკრები, რომელსაც ბოლო მატჩში მეტად ძლიერი მეტოქე ჰყავს უკრაინის ნაკრების სახით.

მეორე ქვეჯგუფში I ადგილის მოხვეჭის დიდი შანსი აქვს მოსკოვის გუნდს, რომელსაც ჩასატარებელი დარჩა მატჩი უზბეკეთის ნაკრებთან. ამ შეხვედრის შედეგის მიუხედავად მეტოქეები ფინალურ ტურნირში იასპარეზებენ.

მესამე ქვეჯგუფის ლიდერს — ყაზახეთის ნაკრებს სათამაშო დარჩა ლიტვის გუნდთან და საეჭვოა, რომ 2 ქულა დათმოს. საქართველოს გუნდი ბელორუსიის ნაკრებს შეხვდება.

I ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
უკრაინა	3	3	0	0	26:9	6
რსფსრ	4	3	0	1	29:12	6
აზერბაიჯანი	3	2	0	1	18:11	4
სომხეთი	3	0	0	3	7:30	0
ყირგიზეთი	3	0	0	3	9:27	0

II ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
მოსკოვი	3	3	0	0	32:7	6
უზბეკეთი	3	3	0	0	23:10	6
ლენინგრადი	4	2	0	2	21:21	4
თურქმენეთი	3	0	0	3	6:21	0
ტაჯიკეთი	3	0	0	3	5:28	0

III ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ყაზახეთი	4	4	0	0	33:20	8
საქართველო	4	3	0	1	33:19	6
ბელორუსია	4	2	0	2	21:16	4
ლიტვა	4	1	0	3	18:26	2
მოლდავეთი	4	1	0	3	22:30	2
ესტონეთი	4	1	0	3	20:36	2

კრიზისი ითხოვს შეღავათებს

თბილისის იპოდრომზე გუშინ საზეიმოდ გაიხსნა ცხენთგამოცდის მორიგი სეზონი. ზეიმი უდავოდ დაამშვენა კლასიკურ სახეობებში ცხენოსანთა ასპარეზობამ, რომელიც ერთდროულად საქართველოს სპარტაკიადისა და ჩემპიონატის პროგრამით ტარდება. ეს ასპარეზობები ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავს ეძღვნება. გათამაშდება სამამულო ომში დაღუპულ მეომართა ხსოვნის პრიზები, რომლებსაც ომის ვეტერანი სპორტსმენები გადასცემენ გამარჯვებულთ.

საქართველოს სპარტაკიადა და ჩემპიონატი ცხენოსნობაში ფაქტიურად რამდენიმე დღის წინ დაიწყო. მის საბოლოო შედეგებს სპეციალისტები და ამ სახეობის გულშემატკივრებიც მოუთმენლად მოელიან, ვინაიდან ბოლო ხანებში ცხენოსნობაში არსებული ჩამორჩენის დასაძლევად მთელი რიგი ღონისძიებებია გატარებული. ამ ღონისძიებებზე საუბარი საანგარიშო წერილისთვის გადავდოთ, მით უმეტეს, რომ მაშინ შედეგებიც ნათელი იქნება.

წლევანდელი სპარტაკიადა და ჩემპიონატი ერთგვარი სიახლეებით აღინიშნება. პირად პირველობაში სპორტსმენს უფლება აქვს იასპარეზოს მეორე ცხენით ან სხვა კოლექტივის სახელითაც გამოვიდეს, თუ ამ კოლექტივს სათანადოდ მომზადებული ცხენი ჰყავს. ეს უფლება საქართველოს სპორტკომიტეტმა მხოლოდ ნაკრები გუნდის წევრებს მისცა, კონკრეტულადაა განსაზღვრული მეორე კოლექტივზე მიმაგრებულ სპორტსმენთა სია. ასეთი ნაბიჯი, ცხადია, „კარგი ცხოვრებით" არაა გამოწვეული. ბევრს ეს შეიძლება გაუმართლებლადაც მოეჩვენოს, მაგრამ უარყოფით რეაქციებს ნუ გამოვიჩენთ, თუ გვინდა როგორმე დავაღწიოთ თავი ცხენოსნობაში შექმნილ კრიზისს, რაც, სხვათა შორის, გუშინდელი პრობლემა უფროა, ვიდრე დღევანდელი. ამიტომაც ამ ნებართვის ქვეტექსტებს აღარ უნდა მივაქციოთ ყურადღება.

საქართველოს სპორტკომიტეტმა მეორე კარგი საქმეც გააკეთა: სომხეთის სპარტაკიადაში გამოვლენილი საუკეთესო სამჭიდელები მოიწვია საასპარეზოდ. ეს ჩვენს მხედრებს, ვფიქრობთ, გარკვეულ სამსახურს გაუწევს ცხენოსნობის ამ ყველაზე რთულ სახეობაში ოსტატობის ასამაღლებლად.

ცხენის გაწვრთნა „მცირე პრიზზე", რომლითაც ასპარეზობა დაიწყო, თბილისელი ოსტატის ვ. პალეატიდის გამარჯვებით დამთავრდა — 63,45 ქულა. II და III ადგილები დაიკავეს ფოთელმა მ. კიკიანმა (61,49) და ზუგდიდელმა ნ. სიტკომ (61,29). გუნდურ ჩათვლაში კი საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი — 19 ქულა, 2. ფოთი — 11, 3. ზუგდიდი — 6.

დაბრკოლებათა გადალახვა „გახსნის პრიზზე" საკავშირო სპარტაკიადის პროგრამაში არ შედის. ამიტომ, ყველა მონაწილეს რომ ეასპარეზა, წინაღობათა განლაგებაში შეღავათები დაუშვეს. სამმა მხედარმა — თბილისელებმა ბ. კუზმინმა, ა. ჯავახიშვილმა და გალელმა მ. ლაზაშიამ შეჯიბრება 4-4 საჯარიმო ქულით დაამთავრეს, საპრიზო ადგილები დამატებითმა ასპარეზობამ გაარკვია. კუზმინმა ყველა წინაღობა უშეცდომოდ გადალახა და გაიმარჯვა. ლაზაშიამ 3 საჯარიმო ქულა მიიღო, ჯავახიშვილმა კი — 4. კუზმინი ამ სახეობაში თავისივე კლუბის მეორე ცხენითაც ასპარეზობდა და V-VIII ადგილები გაიყო.

შეჯიბრებაში ჩაებნენ სამჭიდელები. სამანეჟო გამოცდის შემდეგ პირად ჩათვლაში ლიდერობს სომხეთის წარმომადგენელი ვ. რაბჩანოვი — 50,7 საჯარიმო ქულა. II და III ადგილებზე არიან თბილისელები ო. ჯაფარიძე (67,2) და რ. მესტვირიშვილი (75,4).

თ. გაჩეჩილაძე.

მხოლოდ ტექნიკური შედეგები...

ქუთაისი. „განთიადის" საცურაო აუზი. 5-6 მაისი. საქართველოს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ცურვაში.

ვაჟები. თავისუფალი სტილი. 400 მ. ი. კუშპელიოვი — 4.15,2, ი. ლისეცკი — 4.20,9, ს. მაკაროვი (სამივე — „დინამო", თბილისი) — 4.25,4; 1500 მ. კუშპელიოვი—16.57,0, მაკაროვი — 17.34,2, დ. ასათიანი („განთიადი", ქუთაისი) — 17.39,4. გულაღმა. 200 მ. ი. ომელჩენკო („განთიადი", აჭარა) — 2.15,7 (ბიჭების რესპუბლიკური რეკორდი), ნ. ბზშარული — 2.18,3, ა. თევზაძე (ორივე — „დინამო", თბილისი) — 2.23,8. ბატერფლაი. 100 მ. გ. გოდერძიშვილი — 59,0 (რესპუბლიკური რეკორდი), ი. მესხიშვილი — 1.03,3, ა. რეზნიკოვი (სამივე — „განთიადი", თბილისი) — 1.04,2. კომბინირებული ესტაფეტა. 4×100 მეტრზე. თბილისი I — 4.16,7, თბილისი II — 4.24,9, აჭარა — 4.26,3.

ქალები. თავისუფალი სტილი. 400 მ. ი. პოტაპოვა („დინამო", თბილისი) — 4.35,7, ნ. გეოკჩოღლიანი („განთიადი", თბილისი) — 5.03,4, კ. გუნბა („დინამო", აფხაზეთი) — 5.03,4; 800 მ. პოტაპოვა — 9.42,0, ა. მარადუდინა („განთიადი", აფხაზეთი) — 10.23,3, გეოკჩოღლიანი — 10.36,5. გულაღმა. 200 მ. ლ. სუინა („განთიადი", აფხაზეთი) — 2.38,3, შ. გოზალიანი („დინამო", თბილისი) — 2.39,3, ტ. ვეტერი („განთიადი", ჭიათურა) — 2.43,3. ბატერფლაი. 100 მ. სუინა — 1.12,0, ტ. კოსტარევა („განთიადი", ქუთაისი) — 1.13,1, ლ. იმნაძე („განთიადი", თბილისი) — 1.14,7. ესტაფეტა 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით. აფხაზეთი — 4.28,3, თბილისი — 4.28,7, ქუთაისი — 4.47,1. კომბინირებული ესტაფეტა 4×100 მეტრზე. თბილისი I — 5.03,0, აფხაზეთი — 5.07,7, თბილისი II — 5.10,1.

გუნდური. 1. თბილისი — 339 ქულა, 2. აფხაზეთი — 97, 3. ქუთაისი — 96, 4. აჭარა — 84, 5. ჭიათურა — 28, 6. რუსთავი — 15.

სპორტსაზოგადოებებს შორის ადგილები ასე განაწილდა: 1. „განთიადი" — 323 ქულა, 2. „დინამო" — 302, 3. „შრომითი რეზერვები" — 18, 4. „ლოკომოტივი" — 7, 5. „ვოდნიკი" — 5.

გამოყენებითს სამჭიდში

გაიმართა თბილისის კალინინის სახელობის რაიონის პირველობა სამხედრო-გამოყენებითს სამჭიდში, რომელიც ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავს მიეძღვნა. პროგრამაში იყო მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლა, ხელყუმბარის ტყორცნა და 500 და 1000 მეტრზე კროსი. სარბიელზე 20 გუნდის 120 მონაწილე გამოვიდა.

სროლაში იმარჯვა 39-ე სკოლის კოლექტივმა, რომელმაც 300 შესაძლებლიდან 273 ქულა მოაგროვა. II ადგილზეა 47-ე სკოლის გუნდი — 252, III — 43-ე სკოლის კოლექტივი — 248.

ხელყუმბარის ტყორცნაში გუნდური პირველობა 59-ე სკოლის წარმომადგენლებმა მოიგეს. მათ 210 ქულა მოაგროვეს. II ადგილი დაიკავა 43-ე სკოლის მეორე კოლექტივმა — 146 ქულა. 140 ქულით III ადგილზე გავიდნენ 50-ე სკოლის წარმომადგენლები.

500 (გოგონები) და 1000 (ჭაბუკები) მეტრზე რბენის ჯამში ყველას აჯობა 41-ე სკოლის ნაკრებმა — 101 ქულა. II ადგილი ხვდათ 59-ე სკოლის წარმომადგენლებს — 65, III — 41-ე სკოლის მძლეოსნებს — 55.

საერთო გუნდურ ჩათვლაში 58-ე სკოლის ნაკრებმა 463 ქულა მოაგროვა და 15 ქულით აჯობა II ადგილზე გასულ 39-ე სკოლას. III ადგილი დაიკავა 43-ე სკოლის მეორე გუნდმა — 443.

პირად პირველობაში სროლაში გოგონათა შორის გაიმარჯვეს ნ. მაისურაძემ (41-ე სკოლა) და ხ. ბილანიშვილმა (53-ე სკოლა). თითოეულმა ხუთი გასროლით 47 ქულა მოაგროვა. ჭაბუკებში ყველას აჯობეს ვ. კობაიძემ (39-ე სკოლა), ვ. ყენიამ (47-ე სკოლა) და გ. მასურაშვილმა (39-ე სკოლა). თითოეულმა 48 ქულა დააგროვა. მათ შესაბამისად I, II და III ადგილები დაიკავეს.

გოგონების კროსი მოიგო ლ. კუზნეცოვამ (45-ე სკოლა) — 1.30. ბიჭებში ფინიშთან პირველი მიიჭრა ვ. ოგანესიანი (41-ე სკოლა) — 2.10.

გ. ასლანოვი.

რამდენიმე სტრიქონით

ცხინვალი

სამხრეთ ოსეთის სამბისტთა ჩემპიონატში მონაწილეობდნენ ქალაქ ცხინვალის, ჯავისა და ცხინვალის რაიონების სპორტსმენები. ოლქის ჩემპიონები გახდნენ: ცხინვალელები ა. მარგიევი, გ. არაბული, მ. ავლოხოვი, ვ. ნიკორიშვილი, დ. გაზაშვილი, ცხინვალის რაიონის მოჭიდავეები რ. ნებიერიძე, გ. ოქროპირიძე, რ. კაბულოვი და კ. ბაგაევი.

ვ. მელქოევი.

ზურაბ სტურუა საქართველოს ჩემპიონია



კვლავ ბურუსით იყო მოცული საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ახალი ჩემპიონის ვინაობა: XXXIV ჩემპიონატის დასკვნითი, XVII ტურის წინ ჩემპიონობის პრეტენდენტები იყვნენ ზ. სტურუა, თ. ლომაია (11-11 ქულა), ზ. მიქაძე, დ. გედევანიშვილი, ნ. ჩახოიანი (10,5-10,5), ი. ჩიქოვანი (ყველა — თბილისი) და სოხუმელი ა. ტუზოვსკი (10-10).

პრეტენდენტთა მოძალება შეჯიბრების ფინიშზე მოხდა, როცა ზოგი მონაწილე (მაგალითად, მიქაძე, გედევანიშვილი) პარტიას პარტიაზე იგებდა.

დაძაბულად მიმდინარეობდა ბოლოსწინა, XVI ტურიც. მიქაძემ კვლავ მოიგო, ამჯერად გ. ბიბილაშვილთან (რუსთავი). ჩინებულად ითამაშა ჭაბუკმა სტურუამ. ესპანურ პარტიაში ა. ჯობავასთან (გალი) ცენტრის ჩაკეტვის შემდეგ მან მეტოქის მეფის ფრთას შეუტია და 36-ე სვლაზე გაიმარჯვა. ლომაიამ ბათუმელ გ. გოგიტიძესთან კარგად გამოიყენა ნიმცოვიჩის დაცვით მიღებული უპირატესობა და 29-ე სვლაზე მეტოქეს ფარ-ხმალი დააყრევინა. გაიმარჯვეს გედევანიშვილმა და ჩახოიანმა. პირველმა ჟ. მზარულუა (ზუგდიდი) დაამარცხა, მეორემ — ს. კიკილაშვილი (თბილისი).

მოულოდნელად წააგო ჩიქოვანმა. მან თანაქალაქელ დ. ექვთიმიშვილს რთული თამაში შესთავაზა და მე-17 სვლაზე ფიგურაც შესწირა. ექვთიმიშვილმა „დანაელთა საჩუქარი" უკან დააბრუნა და ოდნავ უკეთესი ენდშპილი მიიღო. ჩიქოვანს შამათის შენიღბული მუქარა აღმოაჩნდა, ფიგურა დაკარგა და დანებდა.

ყაიმით დამთავრდა შეხვედრები ბ. ბოკუჩავა (თბილისი) — ტუზოვსკი, გ. მენაბდე (ქუთაისი) — ა. ბუსლაევი, გ. ცქიტიშვილი — მ. ჩიბურდანიძე (სამივე — თბილისი). დაზავდნენ, აგრეთვე, ჩიქოვანი და ტუზოვსკი XV ტურიდან გადადებულ პარტიაში.

დასკვნითს, XVII ტურს ახალი ჩემპიონის ვინაობა უნდა გაერკვია. უმაღლესი ტიტულის უმთავრესი მაძიებლები ოსტატი ლომაია და 15 წლის სტურუა იყვნენ. ბოლო დღეს ლომაიას მეტოქე მაია ჩიბურდანიძე იყო, სტურუასი — სოხუმელი ოსტატი ტუზოვსკი. ამიტომ მძაფრ პაექრობას ველოდით.

სტურუამ მტკიცე ხასიათი გამოავლინა. იგი არ შეუშინდა გამოცდილ ოსტატს და დაამარცხა იგი. ლომაიამ მოჭადრაკე გოგონას ვერაფერი დააკლო, პირიქით, თვითონ უარეს პოზიციაში აღმოჩნდა. ბოლოს ეს ამაღელვებელი პარტია ყაიმით დასრულდა და ლომაიას გედევანიშვილი დაეწია, რომელმაც ამჯერად კიკილაშვილი დაამარცხა.

ამრიგად, საქართველოს ჩემპიონი გახდა თბილისის მე-100 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე, ოსტატობის კანდიდატი ზურაბ სტურუა.

ეს პირველი შემთხვევაა ჩვენი რესპუბლიკის საჭადრაკო ჩემპიონატების თითქმის ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში, როცა უძლიერესის სახელი 15 წლის (ივნისში ზურაბი თექვსმეტისა გახდება) ყმაწვილმა მოიპოვა.

ნიჭიერი ჭაბუკის თამაშმა საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინა (ზურაბმა ყველაზე მეტი, 10 პარტია მოიგო). მისი ბევრი პარტია აღსავსეა შემოქმედებითი ძიებით, პრობლემათა გადაწყვეტისას ახალგაზრდული უშუალობით, გონებამახვილი იერიშებითა და სვლებით. მის თამაშში არის ნაკლოვანებებიც, რომელთა დაძლევაც შემდგომი წინსვლის საწინდარია.

სტურუას თვალსაჩინო წარმატებაში დიდი დამსახურება მიუძღვის მის მწვრთნელს, დიდ სამამულო ომში მარუხის გმირული ბრძოლების მონაწილეს ოთარ ალხანიშვილს, რომელსაც არა ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა მოჭადრაკე აღუზრდია, მათ შორის — ოსტატი ც. კობაიძე.

მოწონებას იმსახურებს გედევანიშვილის შეუპოვარი სწრაფვა გამარჯვებისკენ. ბოლო ათ ტურში მან 9 (!) ქულა მოაგროვა.

აქვე გვსურს ქებით მოვიხსენიოთ 14 წლის მაია ჩიბურდანიძე, რომელმაც უშიშარი ბრძოლით საერთო მოწონება დაიმსახურა. მაიამ უნდა განაგრძოს ვაჟებთან თამაში, რაც მას ძალას შემატებს და ცოდნას გაუღრმავებს.

დიდი ბრძოლა ჰქონდათ ჩიქოვანსა და მიქაძეს. შეხვედრა პირველმა მოიგო. ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა ექვთიმიშვილმა, რომელმაც ამჯერად ოსტატი ბოკუჩავა დაამარცხა. ზედიზედ მესამე პარტია წააგო რუსთავის ჩემპიონმა გ. ბიბილაშვილმა. მას ჩახოიანმა სძლია. ბუსლაევმა მოუგო ცქიტიშვილს, მზარულუამ — გოგიტიძეს. ყაიმზე შეთანხმდნენ ჯობავა და მენაბდე.

ტურნირი დამთავრდა. გთავაზობთ მის შედეგებს: I. ზ. სტურუა — 12 ქულა, II-III. თ. ლომაია, დ. გედევანიშვილი — 11,5-11,5, IV. ი. ჩიქოვანი — 11, V-VI. ზ. მიქაძე, ნ. ჩახოიანი — 10,5-10,5, VII. ა. ტუზოვსკი — 10, VIII-IX. ა. ბუსლაევი, გ. მენაბდე — 9,5-9,5, X-XI. მ. ჩიბურდანიძე, გ. ბიბილაშვილი—9-9, XII. ბ. ბოკუჩავა — 8,5, XIII. დ. ექვთიმიშვილი — 6, XIV-XVI. გ. ცქიტიშვილი, ა. ჯობავა, ჟ. მზარულუა — 5,5-5,5, XVII. ს. კიკილაშვილი — 4, XVIII. გ. გოგიტიძე — 3,5.

ჩემპიონატის მონაწილეთა შემოქმედების ავ-კარგი გულდასმით შესწავლასა და ანალიზს მოელის. ეს აუცილებელია. თანამედროვე ჭადრაკში მეცნიერული კვლევის გარეშე შეუძლებელია მაღალი სპორტული შედეგების მოპოვება.

თ. ნინოშვილი.

• • •

სურათზე: ზ. სტურუა.
მ. ზარგარიანის ფოტო.

სამი გამარჯვება კალათბურთის სამშობლოში

ნიუ იორკი, 8 მაისი. (საკდესი). კიევის იუნიორი კალათბურთელები ტურნეს ატარებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ოთხ შეხვედრაში სამი გამარჯვება მოიპოვეს. ახალგაზრდა კიეველები შეხვდნენ ოთხი შტატის იუნიორთა ნაკრებ გუნდებს. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონის ლონგ-აილენდის გუნდთან გამარჯვების შემდეგ (86:85), მათ ჩარლსტონში დაამარცხეს დასავლეთ ვირჯინიის შტატის გუნდი (95:72), ხოლო ნეშვილში აჯობეს ტენესის შტატის „ვარსკვლავების გუნდს" — 90:76.

სტუმრებმა წააგეს მატჩი ინდიანის შტატის იუნიორთა ნაკრებთან ქალაქ ელკჰარტში — 71:94 (33:44). ამჯერად მასპინძლებმა გაითვალისწინეს წაგებულ შეხვედრებში შეძენილი „გამოცდილება" და ფაქტიურად რამდენიმე შტატის ნაკრები გამოიყვანეს, თუმცა თვითონ ინდიანის იუნიორები უძლიერესნი არიან და ეს შტატი ტრადიციულად ამარაგებს კალათბურთელებით ამერიკის მოწინავე კლუბებს.

მეტოქეთა შორის გამოირჩეოდა გოლიათი ზანგი გლენ სიუტჰოპი (216 სმ). ამერიკელ მწვრთნელთა აზრით, გლენი აშშ-ს ახალი ოლიმპიური ნაკრების უდავო კანდიდატია.

ელკჰარტში გამართულმა მატჩმა 8 ათას მაყურებელს მოუყარა თავი. ისინი გულთბილად მიესალმებოდნენ სპორტსმენებს.

კიევის ნაკრები ამერიკის შეერთებულ შტატებში კიდევ ოთხ მატჩს გამართავს.

მშვიდობის ველორბოლის მტრედები

ბერლინი, 8 მაისი. (საკდესი). მშვიდობის ველორბოლის პროლოგის — „ეროვნებათა ესტაფეტის" წინ ცაში ათასობით მტრედი აუშვეს. მტრედი მოყვარულ ველოსიპედისტთა ამ უდიდესი შეჯიბრების სიმბოლოა. მისი გამოსახულება — ემბლემა ამშვენებს სამი ქვეყნის — გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის სტადიონებსა და ქალაქებს, რომელთა გზებზეც ასპარეზობის მარშრუტი გადის.

„ეროვნებათა ესტაფეტა" — სიახლე მშვიდობის ველორბოლაში, ისევე ჩატარდა, როგორც მძლეოსნური ესტაფეტა. მაგრამ ეტაპის სიგრძე „მძლეოსნური" არ იყო — 7 კილომეტრი. ამ სპრინტში საუკეთესო შედეგი მოიპოვა უნგრელმა მრბოლელმა ი. სლიპჩევიჩმა — 9.28. გუნდებს შორის კი, ყველასთვის მოულოდნელად, საუკეთესო აღმოჩნდა იტალიელთა კოლექტივი. II ადგილი დაიკავა გდრ-ის ნაკრებმა, III — ნორვეგიის გუნდმა.

გერმანულ ფაშიზმზე გამარჯვების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი რბოლის საზეიმო გახსნის ცერემონიალს ესწრებოდნენ გდრ-ის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები.

ფეხბურთი '75

სსრ კავშირის პირველობა

I ლიგა

საკავშირო გათამაშების წინა ტურის ანგარიშში ჩვენს გაზეთში არ იყო გამოქვეყნებული ორი მატჩის შედეგი. მინსკის დინამოელებმა შინ დიდი ანგარიშით (3:0) დაამარცხეს სვერდლოვსკის „ურალმაში", ხოლო იაროსლავლის „შინიკმა" ყაზანის „რუბინთან" წააგო — 1:2.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო"	6	4	2	0	12—4	10
„ტავრია"	5	4	1	0	11—3	9
„კრ. სოვეტოვი"	6	3	2	1	7—3	8
„ნეფთჩი"	6	3	2	1	7—3	8
„ტორპედო"	6	3	2	1	5—4	8
„სპარტაკი" ორ.	6	3	1	2	6—2	7
„ქაირათი"	6	3	1	2	10—7	7
„რუბინი"	6	3	1	2	5—7	7
„მეტალურგი"	6	3	0	3	9—6	6
„სპარტაკი" ი.-ფ.	5	2	2	1	6—4	6
„შინიკი"	6	2	2	2	6—6	6
„პამირი"	6	1	4	1	4—4	6
„ყუბანი"	6	2	2	2	4—5	6
„ნისტრუ"	5	3	0	2	4—7	6
„სპარტაკი" ნ.	6	1	2	3	6—8	4
„კუზბასი"	6	1	1	4	3—6	3
„მეტალისტი"	5	0	3	2	1—4	3
„ზვეზდა"	6	1	0	5	3—10	2
„ურალმაში"	6	0	2	4	1—9	2
„ალგა"	6	0	2	4	1—9	2

ჩემპიონატები, თასები, ტურნირები

საფრანგეთი

გაიმართა ეროვნული პირველობის მორიგი, XXXV ტური, რომელშიც „სენტ-ეტიენმა" სტუმრად ფრედ (2:2) ითამაშა „პარი-სენ-ჟერმენთან". ამასთან, ლიდერი ორჯერ წინ იყო, მაგრამ მასპინძლებმა ორივეჯერ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება.

მარსელის „ოლიმპიკმა" შინ სძლია „ნანტს" — 2:1. ანგარიში მასპინძელმა ემონმა მე-20 წუთზე გახსნა, რასაც პოლონელმა გადოხამ 76-ე წუთზე გოლით უპასუხა. მატჩის ბედი თითქოს გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ბოლო წუთზე ლენდომ, რომელმაც ერთ-ერთი მოთამაშე შეცვალა, გამარჯვება მოუტანა „ოლიმპიკს".

არგენტინელი დელიო ონისის ერთადერთმა ბურთმა ვერაფერი უშველა „მონაკოს" „ანჟერთან" შეხვედრაში. გაიმარჯვა ამ უკანასკნელმა, რომელიც მასპინძლის როლში გამოდიოდა — 2:1.

ლიონის „ოლიმპიკმა" თავის მინდორზე მოუგო „სტრასბურგს" — 4:1. ასევე დიდი ანგარიშით (3:0) „ლენმა" დაამარცხა ნიმის „ოლიმპიკი". „ბასტიამ" შინ მოუგო პარიზის „რედ სტარს" — 2:0.

მოწინავე ხუთეული:

	თ.	ბ.	ქ.
„სენტ-ეტიენი"	33	55:32	47
„ოლიმპიკი" (მარ.)	35	59:36	45
„ოლიმპიკი" (ლიონი)	35	56:49	43
„ბასტია"	33	46:38	42
„ოლიმპიკი" (ნიმი)	35	50:47	41

(საქ. ინფ.).

მეორეც ავად გახდა...

როგორც ცნობილია, მთავარი მწვრთნელის ბოჟიკის ავადმყოფობის (მიოკარდის ინფარქტი) გამო უნგრეთის ნაკრებს სათავეში ჩაუდგა მისი ასისტენტი ე. მური. ახლა მურიც ავად გახდა და დროებით, სანამ ბოჟიკი გამოჯანმრთელდება, გუნდს უნდა უხელმძღვანელოს მეორე ასისტენტმა ი. სიუჩმა.

უნგრელი მიმომხილველები მკაცრად აკრიტიკებენ გუნდს უხეირო თამაშისთვის. ბუდაპეშტში უელსელებთან წაგების (1:2) შემდეგ უნგრეთის ნაკრებს უკვე აღარა აქვს ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი ნაწილის საგზურისთვის ბრძოლის რეალური შესაძლებლობა.

თამაშობენ... სხვა ქვეყნის ჩემპიონატში

ლიხტენშტაინი, ჯუჯა სახელმწიფო, რომელიც ამას წინათ ფიფა-ს წევრი გახდა, არ ატარებს თავის საკუთარ ჩემპიონატს მინდვრების უქონლობის გამო. უფრო სწორად, ის მინდვრები, რომელიც მას აქვს, უფრო პატარაა, ვიდრე წესებითაა გათვალისწინებული, ამასთან, ლიხტენშტაინის ფეხბურთელთა რამდენიმე გუნდი ჰყავს, რომლებიც შვეიცარიის შეჯიბრებებში გამოდიან.

ავსტრალიელთა გადაწყვეტილება

ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციამ დადგენილება გამოიტანა 1976 წლიდან ეროვნული ჩემპიონატების გამართვის შესახებ. აქამდე ავსტრალიაში მხოლოდ ლოკალური ხასიათის შეჯიბრებები იმართებოდა.

ქვეყნის ჩემპიონატში 10 ან 12 უძლიერესი გუნდი მიიღებს მონაწილეობას.

მოშაშეთა სტარტი

თბილისში, ჭადრაკის სასახლეში, მიმდინარეობს საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი 64-უჯრიან შაშში. ტურნირში 12 ქალაქის 30 წარმომადგენელი მონაწილეობს. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით (7 ტური) ტარდება.

3 ტურის შემდეგ დაწინაურდა ოსტატი თამაზ ბარამიძე — 3 ქულა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება ა. ყაზარაშვილი (კასპი).

ა. ტუღუჩავა,
ჩემპიონატის მსაჯი, ოსტატობის კანდიდატი.

მერქსი VII ადგილზე

ამას წინათ მაინის ფრანკფურტში (გფრ) გაიმართა პროფესიონალ ველომრბოლელთა შეჯიბრება — „ფრანკფურტის დიდი პრიზი", რომელშიც მსოფლიოს ყველა დროის უძლიერესი მრბოლელი, ბელგიელი ედი მერქსიც მონაწილეობდა.

მაგრამ, ყველას გასაკვირად, მან ამჯერად ხელი მოეცარა — VII ადგილზე დარჩა. 228-კილომეტრიანი ტრასა ყველაზე სწრაფად (5:42.40) განვლო ჰოლანდიელმა როი შუიტენმა. მომდევნო ცხრა ადგილი ბელგიელ სპორტსმენებს უკავიათ (II ადგილზე გავიდა ვერბეკი, III — გოდეფრუტი). მასპინძელთაგან საუკეთესო შედეგი ჰქონდა ტურაუს — XXI ადგილი.

(საქ. ინფ.).

მძლეოსნობა

ქალთა შორის მარათონულ რბენაში მსოფლიო მიღწევა დაამყარა დასავლეთგერმანელმა მძლეოსანმა კრისტა ფალენზიკმა, რომელმაც 42 კმ 195 მ 2 საათში, 40 წუთსა და 15 წამში გაირბინა.

სამთო-სათხილამურო სპორტი

ტრენტო. იტალიის ალპებში გრძელდება ზამთრის სპორტული სეზონი. აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში გიგანტური სლალომში ვაჟთა შორის მოიგო იტალიელმა ე. სტრიკერმა. ქალთა შორის იმარჯვა ფრანგმა მ. კუტემ.

კატანია (იტალია). ასპარეზობა სპეციალურ სლალომში (ერთი დაშვება) მასპინძელმა კ. ჯორდანიმ მოიგო — 37,7. ფრანგი დ. დებერნარი მას 0,21 წამით ჩამორჩა. III ადგილი დაიკავა ვ. გატამ (იტალია) — 38,39.

კრივი

კატოვიცე. ევროპის ჩემპიონატი, რომელიც აქ 1-8 ივნისს გაიმართება, დიდ ინტერესს იწვევს: დარბაზში 8800 ადგილია, ყოველდღიურ შეხვედრებზე დასწრების მსურველთა რიცხვმა კი 22 ათასს კაცს გადააჭარბა. უკვე აკრედიტებულია 250 კორესპონდენტი, აქედან 120 უცხოელი ჟურნალისტია.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 11 მაისი. „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. „ლოკომოტივი" (თბილისი) — „დურუჯი" (ყვარელი). დასაწყისი 16 ს. 30 წთ. ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა. „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „დილა" (გორი). 14 ს. 30 წთ. სიჭაბუკის თასი. „დინამოს" ბაზა დიღომში. „დინამო" (თბილისი) — მწვრთნელთა სკოლა (თბილისი). 16 ს. მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონი. განათლების განყოფილება (თბილისი) — „ავაზა" (თბილისი). 17 ს.